

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამა „ტრანსლაციური ბიომედიცინა
(მიმართულება - “დერმატო- ვენეროლოგია“)

სოფიკო აზრუმელაშვილი

დერმატოლოგიური ცხოვრების ხარისხის ინდექსი და პრობლემის დაძლევის
სტრატეგია როზაცეით დაავადებულ პირებში

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თინა ქიტუაშვილი

2024 წელი

თბილისი

აბსტრაქტი

როზაცეა არის ქრონიკული ანთებითი დერმატოზი, რომელსაც ახასიათებს სახის კანის ერითემა, პაპულები, პუსტულები და ტელეანგიექტაზიები, გაღიზიანებული თვალის სინდრომი და რინოფიმა. დაავადების ლოკალიზებულია- გავლენას ახდენს პაციენტის ცხოვრების ხარისხზე (QoL), მენტალურ ჯანმრთელობაზე. კვლევის მიზანია ცხოვრების ხარისხის და დამლევი სტრატეგიის შესწავლა როზაცეით დაავადებულ პირებში.

ჩვენს მიერ ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა შპს „კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო/კვლევით ეროვნულ ცენტრში“. კვლევაში მონაწილეობდა ამბულატორიულ მიღებაზე მყოფი 22-დან 80 წლამდე 138 პაციენტი, რომლებიც როზაცეის დიაგნოზით მკურნალობდნენ კლინიკაში 2016 წლიდან 2020 წლებში, მათგან 25(18%) კაცი და 103(82%) ქალი.

პაციენტის ცხოვრების ხარისხზე დაავადების გავლენის განსაზღვრის მიზნით პაციენტებმა შეავსეს - დერმატოლოგიური ცხოვრების ხარისხის ინდექსი - The Dermatology Life Quality Index (DLQI) განმსაზღვრელი კითხვარი, ასევე დამლევის სტატეგიის დასადგენად- დამლევის სტრატეგიების კითხვარი (COPE). როზაცეის სუბტიპები დადგინდა მოხდა კლინიკური სურათის მიხედვით, რომელიც ფასდებოდა ექიმი დერმატოლოგის მიერ, როზაცეის პირველადი და მეორეული დიაგნოსტიკური კრიტერიუმებით National Rosacea Expert Committee (NREC)-ის კლასიფიკაციით. რისკის შეფასება განხორციელდა რეგრესიული ანალიზის საშუალებით; სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა პროგრამების პაკეტის SPSS 22-ის გამოყენებით.

ცხოვრების ხარისხის შეფასების საშუალო მნიშვნელობა როზაცეის დროს შეადგენს 14.09 ± 3.18 -ს, კატეგორიების მიხედვით: სიმპტომები და ჩივილები - 3.75 ± 1.92 , ყოველდღიური საქმიანობა - 3.12 ± 1.77 ; თავისუფალი დრო - 2.52 ± 1.81 , პრობლემებს სამსახურში ან სწავლაში - 1.52 ± 1.50 , პირადი ურთიერთობები - 2.42 ± 1.90 , მკურნალობა - 1.59 ± 1.04 .

პაციენტების განაწილებამ დაავადების ქვეტიპების მიხედვით გვიჩვენა, რომ ყველაზე მაღალი სიხშირით გამოირჩევა პაპულურ-პუსტულოზური ფორმა - 93(67%), შემდეგ ერითემულ-ტელეანგიექტაზიური 28(20%), ოკულარული - 13(10%) და ყველაზე მცირე - რინოფიმა - 4(3%).

დამლევის სტრატეგიაში ყველაზე მაღალი შეფასება აქვს ემოციური სოციალური მხარდაჭერას - 3,39. რეგრესულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ძლიერი და ექსტრემალურად ძლიერი ეფექტის ფარდობით შანსს ზრდის პაპულურ-პუსტულოზური ქვეტიპი და დასაქმებულის სტატუსი, ამცირებს პაციენტის უფროსი ასაკი, დაბალი თვითშეფასება და მამრობითი სქესი.

კვლევით დადგინდა, რომ როზაცეის აქვს მნიშვნელოვანი გავლენა პაციენტის ცხოვრების ხარისხზე. პაციენტის ცხოვრების ხარისხთან კორელირებს ისეთი ფაქტორები როგორიცაა: ასაკი, სქესი, დასაქმების სტატუსი, თვითშეფასება და როზაცეის ქვეტიპი . კორელაციურმა ანალიზმა ასევე აჩვენა კავშირი დერმატოლოგიური ცხოვრების ხარისხის განმსაზღვრელი კითხვარიდან - ძლიერ და ექსტრემალურად ძლიერ გავლენასა და რისკებს შორის. დისერტაციის შედეგები და მის საფუძველზე შემუშავებული პრაქტიკული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს: ცხოვრების ხარისხზე როზაცეის ზემოქმედების რისკის შეფასებას კონკრეტულ კლინიკურ სიტუაციაში; დამლევის სტრატეგიის პრიორიტეტების შემუშავებას როზაცეის დროს; ცხოვრების ხარისხზე როზაცეის ზემოქმედების შემცირებას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

Abstract

Rosacea is a chronic inflammatory dermatosis characterized by facial flushing, erythema, papules, pustules, and telangiectasia, with or without ocular signs and symptoms, rhinophyma. Since rosacea affects the face, it seriously influences patients' quality of life (QoL) and their mental health. The research aim was to study the QoL and coping strategies of patients with rosacea.

The Questionnaire-based study was performed in the R/S National Centre of Dermatology and Venereology clinic from 2016 to 2020. Of a total of 138 patients aged from 22 to 80, 25 (18%) were male, while 113 (82%) were female, took part in this research with the first-time, confirmed diagnosis of rosacea. All patients completed the Dermatology Life Quality Index (DLQI) questionnaire to evaluate the patients' attitudes to the impact of rosacea on QoL and Coping Strategies Questionnaires (COPE). A subtype of rosacea was assessed according to a standard classification system developed by the National Rosacea Society Expert Committee on the Classification and Staging of Rosacea. We used the regression analysis formula to evaluate the risk prediction model. Statistical analysis was performed using the statistical software package SPSS 22.

The study has determined that the Average DLQI in the case of rosacea equals 14.09 ± 3.18 . Mean Rosacea-Specific DLQI is symptoms and feelings - 3.75 ± 1.92 , daily activities - 3.12 ± 1.77 ; leisure - 2.52 ± 1.81 , work and/or school - 1.52 ± 1.50 , personal relationships - 2.42 ± 1.90 , treatment - 1.59 ± 1.04 .

The disease occurs predominantly in Female patients, the age group of 31-40 years (26%) and rarely - at the age of 30 (7%); Papulopustular form was distinguished with the highest frequency - 93 (67%), then Erythematotelangiectatic 28(20%), Ocular - 13(10%) and Smaller than cheese - Phymatous - 4(3%).

The usage of instrumental social support - 3.39 has the highest score factor in the COPE questionnaire. Regression analysis showed that the Papulopustular subtype of rosacea and

employed status increased very and extremely large effect of QoL, on the other hand, the Patient's global assessment (mild), male gender, and age decreased it.

Rosacea has a strong impact on human life. QoL in rosacea patients is connected to such factors, as age, gender, employment status, self-esteem, and subtype of the disease. Correlation analysis shows the connection between the quality of life and coping strategy. Based on the regression analysis formula, the large and extremely large effect of DLQI can be calculated according to the existing risk. Consequently, the result obtained in our study may be a starting point for the elaboration of complex support for patients with rosacea. The results of the research and the practical recommendations developed based on it will contribute to: risk assessment of the impact of rosacea on the quality of life in a specific clinical situation; developing coping strategy priorities for rosacea; Reducing the impact of rosacea on quality of life and improving quality of life.

აბსტრაქტი	II
Abstract	IV
სარჩევი.....	VI
აბრევიატურების ჩამონათვალი	VII
ცხრილების ჩამონათვალი.....	VII
დიაგრამების ჩამონათვალი.....	IX
 1. შესავალი.....	 1
2. ლიტერატურული მიმოხილვა.....	6
2.1. როზაციით დაავადებულ პირთა ეპიდემიოლოგიური და კლინიკური მახასიათებლები, ეტიოლოგია, პათოგენეზი, დიაგნოსტიკის და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები.	
2.2. ფსიქოლოგიური ასპექტები და საზოგადოების სტიგმატიზაციის გავლენა მის მიმდინარეობაზე.	
2.3. როზაციით დაავადებულ პირთა ცხოვრების ხარისხის შეფასების თავისებურებები.	
2.4. პრობლემის დაძლევის სტრატეგიის თანამედროვე მეთოდები	
3. კვლევის მასალა და მეთოდები	
3.1. საკვლევი	ჯგუფის 27
დახასიათება.....	
3.2. სტატისტიკური ანალიზი.....	38
4. შედეგები	
4.1. როზაციის კლინიკური და დემოგრაფიული მახასიათებლები	39
4.2. ცხოვრების ხარისხის შეფასება როზაციის დროს.....	42
4.3. დაძლევის სტრატეგია როზაციის დროს.....	53
4.4. კორელაციები როზაციის მახასიათებლებს შორის.....	85
4.5. როზაციის ძლიერი და ექსტრემალურად ძლიერი ეფექტის პროგნოზირება.....	94
5. შედეგების შეჯამება	96

დასკვნები.....	101
პრაქტიკული რეკომენდაციები.....	102
ბიბლიოგრაფია	103
დანართი	

აბრევიატურების ჩამონათვალი

DLQI- Dermatology Life quality Index - დერმატოლოგიური ცხოვრების ხარისხის ინდექსი

QoL - Quality of Life - ცხოვრების ხარისხი.

NREC- როზაცეის ეროვნული საზოგადოების ექსპერტთა კომიტეტი

COPE - Coping Strategies - დაძლევის სტრატეგია

GAS - The general adaptation syndrome - ზოგადი ადაპტაციის სინდრომი

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი	გვერდი
1. ცხრილი 2.1. როზაცეის პირველადი დიაგნოსტიკური კრიტერიუმები	გვ.28
2. ცხრილი 2.2. როზაცეის მეორეული დიაგნოსტიკური კრიტერიუმები	გვ.29
3. ცხრილი 2.3. პაციენტის მდგომარეობის შეფასება ექიმის მიერ	გვ.29
4. ცხრილი 2.4. მდგომარეობის შეფასება პაციენტის მიერ	გვ.30
5. ცხრილი 2.5. ცხოვრების ხარისხის შეფასება პაციენტის მიერ	გვ.30
6. ცხრილი 2.6. დამლევის სტრატეგია შეიერისა და ქარვერის მიერ	გვ.35
7. ცხრილი 4.2.1. პაციენტთა დემოგრაფიული მახასიათებლების განაწილება დაავადების ქვეტიპების მიხედვით	გვ. 44
8. ცხრილი 4.2.2. ცხოვრების ხარისხის მახასიათებლების შეფასება ქვეტიპების მიხედვით	გვ.45
9. ცხრილი 4.2.3. ცხრილი 4.2. ცხოვრების ხარისხის შეფასება სქესის მიხედვით როზაცეის დროს	გვ.51
10. ცხრილი 4.3.1. დამლევის სტრატეგიის შეფასება სქესის მიხედვით	გვ.66
11. ცხრილი 4.3.2. დამლევის სტრატეგიის სტატისტიკური შეფასება ქვეტიპების მიხედვით	გვ. 67
12. ცხრილი 4.4.1. კორელაციები როზაცეის მახასიათებლებს შორის(1)	გვ.85
13. ცხრილი 4.4.1. კორელაციები როზაცეის მახასიათებლებს შორის(2)	გვ.88
14. ცხრილი 4.4.1. კორელაციები როზაცეის მახასიათებლებს შორის(3)	გვ.91
15. ცხრილი 4.4.1. კორელაციები როზაცეის მახასიათებლებს შორის(4)	გვ.95
16. ცხრილი 4.5.1. როზაცეის ეფექტის რისკის ფაქტორების შეფასება	გვ.96

დიაგრამები

- | | | |
|-----|---|--------|
| 1. | სათაური | გვერდი |
| 2. | დიაგრამა 4.1.1. როზაცის განაწილება სქესის მიხედვით | გვ.39 |
| 3. | დიაგრამა 4.1.2. როზაცის განაწილება ასაკის მიხედვით | გვ. 39 |
| 4. | დიაგრამა 4.1.3. როზაცის განაწილება ოჯახური მდგომარეობის მიხედვით | გვ.40 |
| 5. | დიაგრამა 4.1.4. როზაცის განაწილება სოციალური სტატუსის მიხედვით | გვ.40 |
| 6. | დიაგრამა 4.1.5. პაციენტების განაწილება ქვეტიპების მიხედვით | გვ.41 |
| 7. | დიაგრამა 4.1.6. პაციენტის ზოგადი მდგომარეობა | გვ.41 |
| 8. | დიაგრამა 4.2.1. ცხოვრების ხარისხის შეფასება | გვ.42 |
| 9. | დიაგრამა 4.2.2 როზაცის ნიშნების ინტენსივობის შეფასება | გვ.43 |
| 10. | დიაგრამა 4.2.3. ცხოვრების ხარისხის მახასიათებლების შეფასება ქვეტიპების მიხედვით | გვ. 48 |
| 11. | დიაგრამა 4.2.4. ზოგადი მდგომარეობის შეფასება პაციენტის მიერ | გვ.50 |
| 12. | დიაგრამა 4.2.5. ხარისხის შეფასება ქვეტიპების მიხედვით | გვ.51 |
| 13. | დიაგრამა 4.3.1..დამღევს სტრატეგია | გვ.55 |
| 14. | დიაგრამა 4.3.2. .დამღევს სტრატეგია ინტეგრალური მახასიათებელი | გვ.56 |
| 15. | დიაგრამა 4.3.3. პოზიტიური რეინპრეტაცია და ზრდა | გვ. 57 |
| 16. | დიაგრამა 4. 3.4. მენტალური ჩაუთვლელობა | გვ.58 |

17.	დიაგრამა 4.3.5. ემოციებზე ფოკუსირება და ემოციების გამოხატვა	გვ.59
18.	დიაგრამა 4.3.6. ინსტრუმენტული სოციალური დახმარება	გვ.59
19.	დიაგრამა 4.3.7. აქტიური დაძლევა	გვ.60
20.	დიაგრამა 4.3.8. უარყოფა	გვ.60
21.	დიაგრამა 4.3.9. რელიგიასთან მიბრუნება	გვ.61
22.	დიაგრამა 4.3.10. ბიჰევიორული/ქცევითი ჩაურთველობა	გვ.
23.	დიაგრამა 4.3.11. ალკოჰოლისა და ნარკოტიკის გამოყენება	გვ.62
24.	დიაგრამა 4.3.12. იუმორი	გვ.63
25.	დიაგრამა 4.3.13. მიმღებლობა	გვ.63
26.	დიაგრამა 4.3.14. სხვა აქტივობის დათრგუნვა	გვ.64
27.	დიაგრამა 4.3.15. დაგეგმვა	გვ. 64
28.	დიაგრამა 4.3.16. ემოციური სოციალური მხარდაჭერა	გვ.65
29.	დიაგრამა 4.3.17. შეკავება	გვ.65

1. შესავალი

1.1 პრობლემის აქტუალობა

როზაცეა წარმოადგენს ერთ-ერთ გავრცელებულ ქრონიკულ დერმატოზს. დაავადების ზუსტი გამომწვევი მიზეზი დღესდღეობით ცნობილი არაა, გამოწვეული მიზეზი შეიძლება იყოს: გენეტიკა, გარემო ფაქტორები/ტრიგერები ცხელი ან ცივი კლიმატი, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება, ულტრაიისფერი გამოსხივება, კოფეინი, ალკოჰოლი, ცხელი ან ცხარე საკვები, მზე, ძლიერი ფიზიკური დატვირთვა, სტრესი, მენსტრუალური ციკლი. თანდაყოლილი და შეძენილი იმუნიტეტის აქტივაციის მიზეზი შესაძლოა იყოს: ტკიპა დემოდექსი, ჰელიკობაქტერ პილორი და ზოგიერთი მედიკამენტი. (van Zuuren et al. 2021; Anzengruber et al. 2017)

როზაცეა გამოირჩევა მაღალი პრევალენტობით- 1-22% ევროპის პოპულაციაში; 2016 წელს ჩატარებული მასშტაბური კვლევით გერმანიასა და რუსეთში დგინდება, რომ დაავადების მაღალი პრევალენტობაა ორივე ქვეყანაში, გერმანია - 12,3% რუსეთი 5,0%. (J. Tan et al. 2016) ამერიკაში როზაცეის სიხშირე 10%-ს აღწევს.

ბოლო კვლევებით დასტურდება, რომ მსოფლიო მასშტაბით როზაცეა გვხვდება პოპულაციის 5,5 %-ში. აღსანიშნავია, რომ ქალები და მამაკაცები ავადდებიან თანაბრად, თუმცა აქამდე არსებული მონაცემებით დაავადება მეტწილად გვხვდება ქალებში (van Zuuren et al. 2021). დაავადებული პაციენტების 10-50%-ს უვითარდება ოკულარული ქვეტიპი (Rodrigues-Braz et al. 2021; Vieira and Mannis 2013).

კლინიკური მასახიათებლების მიხედვით განასხვავებენ როზაცეის 4 ქვეტიპს(Buechner 2005). პაციენტებს შეიძლება ჰქონდეთ ერთზე მეტი სუბიექტური ნიშანი ან სიმპტომი, შესაძლებელია დაავადება პროგრესირდეს ან შეიცვალოს ერთი ქვეტიპი მეორეთი (J. Wilkin et al. 2002).

დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური სიმპტომების გარდა, რომელიც ლოკალიზებულია სახის არეში- ლოყები, ცხვირი, ნიკაპი, შუბლი, როზაცეის შეიძლება ჰქონდეს არსებითი ფსიქოლოგიური ზემოქმედება (შფოთვა, დეპრესია) და ნეგატიური გავლენა პაციენტის სცოვრების ხარისხზე (QoL), მათ შორის

უარყოფითი გავლენა თვითდაჯერებულობაზე, ემოციურ, სოციალურ და ზოგად თვითშეფასებაზე. (Zeichner et al. 2018) პაციენტებში ძლიერდება სტიგმატიზაცია (Böhm et al. 2014). საზოგადოებაში გავრცელებული აზრით, როზაცეა კლინიკური მახასიათებლების გამო, ასოცირდება ალკოჰოლიზმთან და ფსიქიკურ დაავადებებთან, რაც აყალიბებს საზოგადოებაში სტიგმატიზაციას.

სტიგმა-ნეგატიური ნიშანი, რომელიც იწვევს პაციენტის დისკრედიტაციას და გამოყოფს სოციალურ ცხოვრების მონაწილეობისგან. XX (1963 წელს Stigma: Notes on the Management of Spoiled Identity) საუკუნეში ამერიკელმა სოციოლოგმა ირვინ გოფმანმა სტიგმა გამოიყენა დისკრიმინირებული პიროვნების დასახასიათებლად. ირვინ გოფმანი სტიგმას უწოდებს "პროცესს, რომლის საშუალებითაც სხვების რეაქცია ამახინჯებს ნორმალურ იდენტობას" ("Stigma: Notes on the Management of Spoiled Identity" 1969).

როზაციით დაავადებული პაციენტებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური, ფსიგოლოგიური და ფიზიკური პრობლემების, სტრესის და დისკომფორტის დაძლევა (Langenbruch, Beket, and Augustin 2011; Compas et al. 2014). სტიგმა უარყოფით გავლენას ახდენს პაციენტის ფსიქიკაზე, ვითარდება შფოთვა და დეპრესია (Heisig and Reich 2018), ძლიერდება სტიგმატიზაცია (Böhm et al. 2014). აღსანიშნავია, რომ სტიგმატიზაცია მეტად ვლინდება მამაკაცებში, ვიდრე ქალებში როზაცეას კლინიკური მახასიათებლის გამო- რინოფიმა (Halioua et al. 2017). აღსანიშნავია, პაციენტისადმი ინდივიდუალური მიდგომის როლი და როზაციის შესახებ საზოგადოების განათლების აუცილებლობა (Carver and Connor-Smith 2010).

ინტერესს იწვევს დაძლევის სტრატეგიაზე ასაკისა და სქესის, დაავადების სიმძიმის და სხვა კლინიკური თუ სოციალური ფაქტორების ზემოქმედება.

ცხოვრების ხარისხი და დაძლევის სტრატეგია განსხვავდება არა მარტო ინდივიდებს შორის, არამედ სხვადასხვა კულტურათა მიხედვით (Gibbons and Skevington 2018). ამდენად საჭიროა ცხოვრების ხარისხის და პრობლემის დაძლევის სტრატეგიის შესწავლა საკუთრივ ყველა პოპულაციაში. როზაცეა საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა საქართველოშიც, რაც აქტუალურს ხდის ცხოვრების

ხარისხის და პრობლემის დაძლევის სტრატეგიის შესწავლას როზაციით დაავადებულ პირებში.

1.2 კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია როზაციის მექანე პაციენტების ცხოვრების ხარისხისა და დაძლევის სტრატეგიის შესწავლა ჩვენს პოპულაციაში, რისთვისაც დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

1. როზაციის კლინიკური და დემოგრაფიული მახასიათებლების შესწავლა ჩვენს პოპულაციაში;
2. ცხოვრების ხარისხის შესწავლა ასაკის, სქესისა და დაავადების ქვეტიპების მიხედვით;
3. დაავადების დაძლევის სტრატეგიის შეფასება ასაკის, სქესისა და დაავადების ქვეტიპების მიხედვით;
4. კორელაციის დადგენა როზაციის მახასიათებლებსა და პაციენტის მიერ სიცოცხლს ხარისხის შეფასებას შორის;
5. კორელაციის დადგენა კლინიკურ, სოციალურ და დემოგრაფიულ მონაცემებსა და დაძლევის სტრატეგიას შორის;
6. ცხოვრების ხარისხის პროგნოზირება როზაციის დროს.

1.3 მეცნიერული სიახლე

ჩვენს პოპულაციაში:

- მოხდა როზაციით დაავადებულ პაციენტებში დერმატოლოგიური ცხოვრების ხარისხის ინდექსისა და პრობლემის დაძლევის სტრატეგიის შეფასება;
- დადგინდა პრობლემის დაძლევის სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებები;
- განისაზღვრა კავშირი დერმატოლოგიური ცხოვრების ხარისხის ინდექსისა, დაძლევის სტრატეგიასა და როზაციის კლინიკურ მახასიათებლებს შორის;
- ჩატარდა ცხოვრების ხარისხზე როზაციის ზემოქმედების რისკის შეფასება.

1.4 კვლევის პრაქტიკული ღირებულება

დისერტაციის შედეგები და მის საფუძველზე შემუშავებული პრაქტიკული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს:

- ცხოვრების ხარისხზე როზაციის ზემოქმედების რისკის შეფასება კონკრეტულ კლინიკურ სიტუაციაში;
- დამლევის სტრატეგიის პრიორიტეტების შემუშავებას როზაციის დროს;
- ცხოვრების ხარისხზე როზაციის ზემოქმედების შემცირებას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

1.5 დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა

ნაშრომი წარმოდგენილია ქართულ ენაზე ნაბეჭდი 100 გვერდით, მოიცავს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, მასალისა და მეთოდების დახასიათებას, საკუთარი გამოკვლევების 5 თავს, მიღებული შედეგების განხილვას, გამოყენებული ლიტერატურის სიას, რომელიც მოიცავს 220 ლიტერატურულ წყაროს. დანართს. ნაშრომში წარმოდგენილია 16 ცხრილი, 29 დიაგრამა, დისერტაციას თან ერთვის ინგლისურენოვანი ანოტაცია.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

2.1 როზაცეით დაავადებულ პირთა ეპიდემიოლოგიური და კლინიკური მახასიათებლები, ეტიოლოგია, პათოგენეზი, დიაგნოსტიკის და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები.

როზაცეა - ქრონიკული, ანთებითი ხასიათის დაავადება პირველად ფრანგმა ექიმმა გი დე შალიაკიმ აწერა მე-14 საუკუნეში და სახელად წითელი ლაქა-„კუპეროზი“ დაარქვა.

როზაცეის დროს სახის, კისრის და მკერდის არეში წამოწითელებები ან მუდმივი ჰიპერემია, პაპულურ-პუსტულოზური გამონაყარი და ტელეანგიექტაზიები. მამაკაცებში ხშირია რინოფიმა. შესაძლებელია თვალის ჩართვა- თვალის სიმშრალე, უცხო სხეულის შეგრძნება, ფოტოფობია, კონიუქტივიტი, ბლეფარიტი (Rainer, Kang, and Chien 2017; Hilbring et al. 2022). როზაცეა ძირითადად გვხვდება 30-50 წლის ასაკში, თუმცა შეიძლება ყველა ასაკში შეგვხვდეს, მათ შორის ბავშვებშიც. სიმპტომები შეიძლება გამოიკვეთოს 20 წლიდან (Anzengruber et al. 2017) აღსანიშნავია, რომ ქალები და მამაკაცები ავადდებიან თანაბრად. თუმცა აქამდე დგინდებოდა რომ დაავადება მეტწილად გვხვდება ქალებში. (van Zuuren et al. 2021).

უფრო ხშირად გვხვდება ღია ფერის კანის- ფიცპატრიკის კლასიფიკაციით I-II კანის ტიპის პაციენტებში, ვიდრე შედარებით მუქი IV-V-ტიპის მქონე პირებში (Anzengruber et al. 2017).

როზაცეის ეპიდემიოლოგიური კვლევები გვიჩვენებენ დაავადების კლინიკური სურათის ფართო ვარიაბელობას გავრცელების არეალის მიხედვით (Jerry Tan and Berg 2013).

საერთაშორისო მონაცემებით როზაცეა გვხვდება 5,5% მოზრდილ პოპულაციაში (Gether et al. 2018). ღია ფერის კანის მქონე მოსახლეობაში მერყეობს 2-დან 22 პროცენტამდე (Spoendlin et al. 2012; Chosidow and Cribier 2011). მაგრამ ამ სიხშირეზე, სავარაუდოდ, გავლენას ახდენს კვლევის დიზაინი, მეთოდოლოგია, პოპულაცია, გეოგრაფიული მდებარეობა და დაავადების აღქმის კულტურული და სოციალური განსხვავებები. მუქი ფოტოტიპის მქონე ადამიანებში, როზაცეა, სავარაუდოდ, არასაკმარისად არის დიაგნოზირებული, რადგან ასეთ შემთხვევებში ერთიემა და ტელანგიექტაზია უფრო რთული ამოსაცნობია (Alexis et al. 2019; Jerry Tan and Berg 2013). ფერადკანიანებში კანის ფერის გამო რთულია შენიშვნა ჰიპერემია და

ტელანგიექტაზიები, თუმცა აღნიშნავენ სიმხურვალის შეგრძნებას სახეზე. როზენმა და სროუნმა აღწერეს 3 შემთხვევა ფერადკანიანებში საიდანაც 2 ქალი იყო - გრანულომატოზური ფორმით. აღნიშნული ფორმა მეტად დამახასიათებელია ფერადკანიანებისათვის (Rosen and Stone 1987).

გერმანიაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ როზაცეის საერთო გავრცელება იყო 12%, ერთიემატოტელანგიექტატური და პაპულურ-პუსტულოზური ქვეტიპები შეადგენენ შესაბამისად 9 და 3 % (J. Tan et al. 2016). თვალის ჩართულობის გავრცელება როზაცეის მქონე პაციენტებში იყო 10%-ზე ნაკლები. როზაცეის პრევალენტობა მნიშვნელოვნად იზრდება ასაკთან ერთად (16-29 წელი: 0,3%; 30-39 წელი: 0,9%; 40-49 წელი: 2,0%; 50-59 წელი: 3,5%; 60-70 წელი: 5,7%). გარდა ამისა, აღინიშნება მნიშვნელოვანი კლებადი პრევალენტობა I ტიპის კანიდან IV ტიპის მიმართ (კანის ტიპი I: 3.2%; II: 2.2%; III: 1.5%; IV: 0.4%). ყველაზე ხშირი დერმატოლოგიური თანმხლები დაავადებებია: ტელანგიექტაზია (OR = 2,5), ფოლიკულიტი (OR = 1,8), სებორეული დერმატიტი (OR = 1,6), აკნე (OR = 1,6), tinea pedis (OR = 1,4), ფსორიაზი (OR = 1,4) და ჰემანგიომა (OR = 1.1) (Hilbring et al. 2022).

როზაცეის გამომწვევი ზუსტი მიზეზი დღეისათვის ცნობილი არ არის, სავარაუდოდ ის მულტიფაქტორულია.

როზაცეის ეტიოლოგია და პათოგენეზი

როზაცეის აქვს მულტიფაქტორული ეტიოლოგია

როზაცეის მექანიზმი და განვითარება დღემდე გაურკვეველი რჩება, მოიცავს როგორც გენეტიკურ, ასევე გარემო ფაქტორებს(Hilbring et al. 2022). ამასთან, გენეტიკური კომპონენტები, როგორცაა იმუნური, სისხლძარღვთა და ნერვული სისტემების დისრეგულაცია, წარმოადგენს რისკის დაახლოებით 46%-დან 50%-მდე(Maden 2023), ხოლო გარემო ფაქტორები, მათ შორის ულტრაიისფერი გამოსხივების ზემოქმედება, შეიძლება შეადგენდეს დისპერსიის 50%-ს. როზაცეა შეიძლება გამოწვეული იყოს კანის ბარიერის დისფუნქციით, მიკროეკოლოგიური დარღვევებით, კანის თანდაყოლილი იმუნური დისბალანსით, ნეიროვასკულური ფუნქციის არანორმალური რეგულირებით(Ahn and Huang 2018; Two et al. 2015). ითვლება, რომ ნეიროვასკულური დისრეგულაცია და ნეიროგენული ანთება თამაშობს მთავარ პათოგენეტიკურ როლს (Passeron et al. 2020; Choi and Di Nardo 2018).

მიუღერმა თავის სტატიაში აღწერა, რომ მენტალური სტრესი აძლიერებს კანის სიმპატიკური ნერვული სისტემის გააქტიურებას(SSNA), რაც თავის მხრივ იწვევს კანზე პერიოდულ ვაზოდილატაციას (Black 2002). შედეგად ვითარდება ლოკალური ანთება და ნეიროვასკულარული დისრეგულაცია.

დღეისათვის მჭიდრო კავშირი სტრესსა და როზაცეის შორის ფართოდ არის განხილული და მიღებული. ფსიქოლოგიურმა სტრესმა შეიძლება გამოიწვიოს ბარიერული ჰომეოსტაზის, რქოვანა შრის მთლიანობის და ეპიდერმული თანდაყოლილი იმუნიტეტის დარღვევა(Passeron et al. 2021). იგი არის ანთების ძლიერი აქტივატორი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ციტოკინის დონის მატება, ნერვული და ანთებითი გზების გააქტიურება(Slavich and Irwin 2014).

სტრესი და ემოციური ფაქტორები, როგორცაა შიში ან უხერხულობა, ხშირად მოიხსენიება პათოგენურ ფაქტორებს შორის. ეს ნიშნავს, რომ სტრესული ტრანზაქციები იწვევს ძლიერ, უარყოფით ემოციებს და, შესაბამისად, ვლინდება როზაცეის მნიშვნელოვანი სიმპტომები. ცნობილია, რომ ემოციური რეაქციები (ქრონიკული ან ინტენსიური) ბიოლოგიურ მიდრეკილებასთან ერთად, საფუძვლად უდევს ორგანოებსა და შინაგან სისტემებში პათოლოგიურ ცვლილებებს და აყალიბებს იმუნური სისტემის ეფექტურობას(Aponte et al. 2018). უფრო მეტიც, ზოგიერთი კვლევით, სტრესი როზაცეის ყველაზე გავრცელებული ენდოგენური მიზეზია.

როზაციის შემთხვევების 74.02% გამოწვეული ან გამწვავებული იყო სტრესით (J. Chang et al. 2021). გადაჭარბებული ფსიქიკური სტრესი აძლიერებს სახის სიწითლეს როზაციის მქონე პაციენტებში.

დაავადებების მქონე პაციენტებს აღნიშნებათ დეპრესია, შფოთვა და თვითშეფასების დაქვეითება (Emer and Levy 2012; H.-C. Chang et al. 2022; Hung et al. 2019; Singam et al. 2019). პაციენტების საერთო DLQI ქულა დადებითად იყო დაკავშირებული შფოთვისთან ($r = .526$, $p < .001$) და დეპრესიის ქულებთან ($r = .399$, $p < .001$) (Wu et al. 2018).

გარდა ამისა, კორტიზოლის გამომყოფი ჰორმონი (CRH), რომელიც ცნობილია როგორც სტრესის მთავარი ჰორმონი ურთიერთქმედებს CRH 1 და 2 ტიპის რეცეპტორებთან და CRH-ის შემაკავებელ ცილებთან (Kim et al. 2013) CRH 1 რეცეპტორის მეშვეობით CRH -ს შეუძია გამოიწვიოს პოხიერი უჯრედების დეგრანულაცია და გამოათავისუფლოს მრავალი ვაზოდილატატორი მედიატორები-ჰისტამინი და NO. CRH-ს ასევე შეუძლია იყოს მედიატორი ციტოკინების IL-6, IL-8, და IL-18 პროლფერაციაში, რომლებიც არეგულირებენ მიტოგ mitogen-activated protein kinase და nuclear factor κ -light-chain-enhancers of activated B cells (NF- κ B) და იწვევენ კანის ერითემას. გარდა ამისა CRH რეცეპტორები ტიპი 2 ძირითადად არის სისხლძარღვებში და მოქმედებს როგორც ვაზოდილატატორი, რაც ასევე გვხვდება როზაციის დროს. ამასთან უნდა აღინიშნოს რომ სტრესის ფაქტორი ბოლომდე შესქავებული არაა როზაციის დროს და საჭიროებს დამატებით კვლევებს (Woo et al. 2016).

თანმხლები დაავადებების უნივარიაციულმა ანალიზმა გამოავლინა კორელაცია NRS ქულებს შორის ასაკთან ($r = 0.38$; $P < .001$), ულტრაიისფერი გამოსხივების ზემოქმედებასთან ($r = 0.26$; $P < .001$), სხეულის მასის ინდექსთან (BMI) ($r = 0.21$; $P < .001$), კანის კიბოს თანმხლები დაავადებებთან ($r = 0.19$; $P < .001$) და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების კომორბიდებთან ($r = 0.17$; $P < .001$). სუსტი ასოციაციები მოიცავდა მოწვევის ასაკს ($r = 0.10$; $P = .02$) და ალკოჰოლის მოხმარებას ($r = 0.11$; $P = .01$) (Aldrich et al. 2015). ყველაზე დიდი რისკის ქვეშ არიან კავკასიური რასის წარმომადგენლები, რომლებსაც აქვთ ღია, მზისადმი მგრძნობიარე კანი (კანის

ფოტოტიპები I და II)(Abram et al. 2010). როზაცეა ასოცირდება კარდიოვასკულარულ(Searle, Al-Niaimi, and Ali 2020; D. Choi et al. 2021), კუჭ-ნაწლავის დაავადებებთან და ფსიქოლოგიურ პრობლემებთან, მავნე ჩვევებთან (Yuan and Yin 2021), პაციენტებს ზოგჯერ აღენიშნებათ მენტალური პრობლემებიც(Haber and El Gemayel 2018).

როზაცეის მქონე პაციენტებს აღენიშნებოდათ დისლიპიდემიის და ჰიპერტენზიის უფრო მაღალი გავრცელება, უფრო მაღალი საერთო ქოლესტერინი, დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები, ტრიგლიცერიდები, მაღალი სისტოლური წნევა, მაღალი დიასტოლური არტერიული წნევა და უზმოზე სისხლში გლუკოზის კონცენტრაცია(Q. Chen et al. 2020; C. Chen et al. 2023).

კვლევებმა გამოავლინა როზაცეის შესაძლო ასოციაციები გულ-სისხლძარღვთა, კუჭ-ნაწლავის, ნევროლოგიური, აუტოიმუნური და ფსიქიატრიული დარღვევების, ასევე კიბოს გაზრდილ რისკთან, თუმცა აქვს თუ არა ამ ასოციაციებს მიზეზობრივი კავშირი საჭიროებს შემდგომ შეფასებას(Haber and El Gemayel 2018; Holmes et al. 2018).

როზაცეის მქონე პაციენტებს ახასიათებდათ მნიშვნელოვნად გაზრდილი ტიპი 1 შაქრიანი დიაბეტის (OR 2.59, 95%CI 1.41-4.73), ცელიაკიის (OR 2.03, 95%CI 1.35-3.07), გაფანტული სკლეროზის (OR 1.65, 95%CI 1.28-2.) და რევმატოიდული ართრიტის (OR 2.14, 95%CI 1.82-2.52) ფარდობითი რისკი(Alexander Egeberg et al. 2016), რომ როზაცეის ასოცირებას რევმატოიდულ ართრიტთან(Haber and El Gemayel 2018) და ცელიაკიასთან(Rodrigo et al. 2018) აჩვენებენ სხვა კვლევებიც.

როზაცეის განვითარებაში ასევე მნიშვნელოვანია მემკვიდრეობა(Kumar, Shih, and Chang 2020; Rainer et al. 2015). ტყუპებზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა 46 პროცენტის გენეტიკური წვლილი(Aldrich et al. 2015). როზაცეის ნაციონალური საზოგადოების მიერ როზაცეის მქონე 600 პაციენტის გამოკითხვამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა თითქმის 52%-ს ჰყავდა ამ მდგომარეობის მქონე ნათესავი, ხოლო 42%-მა განაცხადა, რომ იყო ირლანდიელი, გერმანელი, ან ინგლისური წარმოშობის. მათგან 30 პროცენტმა აღნიშნა, რომ როზაცეა აქვს დედას, ხოლო 35 პროცენტმა მიუთითა მამაზე, 28 პროცენტმა დაასახელა და და 24 პროცენტმა დაასახელა ძმა. (პროცენტები აღემატება 100-ს, რადგან ზოგიერთს ჰყავდა ერთზე მეტი

დაზარალებული ოჯახის წევრი.) თითქმის 16 პროცენტმა თქვა, როზაცეა ჰქონდა ერთ-ერთ ბებიას, ხოლო 14 პროცენტმა აღნიშნა, რომ დაავადებული იყო ბაბუა. ეს მდგომარეობა ვლინდება მომავალ თაობაშიც, რადგან გამოკითხულთა თითქმის 15 პროცენტის თქმით, თქვა, მათ ერთ ან რამდენიმე შვილს დაუსვეს როზაციის დიაგნოზი, ბევრმა ასევე აღნიშნა, რომ მდგომარეობა აქვს დეიდას, ბიძას ან ბიძაშვილს (National Rosacea Society).

როზაციის განვითარების ან გაუარესების გამომწვევი ფაქტორები მოიცავს მზის ზემოქმედებას, სტრესს, ცხელ და ცივ ამინდს, ცხელი სასმელების ან ალკოჰოლის მიღებას და ცხარე საკვებს. მთელ მსოფლიოში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა კორელაცია როზაციის და ფაქტორებს შორის, როგორიცაა ცხელი კლიმატი და მზის ზემოქმედება(Khaled et al. 2010).

ეპიდემიოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ჯანმრთელ სუბიექტებთან შედარებით, როზაციის მქონე პაციენტებს ჰქონდათ კუჭ-ნაწლავის (GI) დაავადების უფრო მაღალი გავრცელება, როგორიცაა *Helicobacter pylori* ინფექცია (HPI), წვრილი ნაწლავის ბაქტერიული ფლორის ჭარბი ზრდა (SIBO) და გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი (IBS)(A. Egeberg et al. 2017; Gallo et al. 2018; Wang and Chi 2021).

ყველაზე ხშირად როზაციის გამომწვევ ფაქტორებს მიეკუთვნება: ალკოჰოლი(Li et al. 2017), ცხარე საკვები, ცინამალდეჰიდის შემცველი საკვები (მაგ., პომიდორი, ციტრუსის ხილი, შოკოლადი), ცხელი სასმელები და ჰისტამინით მდიდარი საკვები (მაგ. დამკვლელი ყველი, ღვინო, დამუშავებული ხორცი). ზოგიერთი საკვები, როგორც ჩანს, ასრულებს დამცავ როლს, როგორიცაა ომეგა-3, რომელიც, როგორც ჩანს, იცავს თვალის როზაციისგან. გარკვეულ საკვებ პროდუქტსა და როზაციის ქვეტიპს შორის კავშირი მრავალფეროვანია, არათანმიმდევრული შედეგები აჩვენა რამდენიმე კვლევამ, რომლებმაც ეს შეისწავლეს. მაგალითად, ალკოჰოლი აუარესებს სიწითლეს, ხოლო ცხიმოვანი საკვები იწვევს, როგორც ერითემატოტელანგიექტაზურ, ასევე რინოფიმის მქონე მგრძნობიარე ინდივიდებში(Searle et al. 2021). ბოსტნეულის, პარკოსნების, ცხიმოვანი თევზის, ზეთუნის ზეთისა და თხილის მოხმარება და ხორცის, ყველის და ალკოჰოლის შეზღუდვა, როგორც ჩანს, სასარგებლოა როგორც აკნეს, ასევე როზაციის სამკურნალოდ(Guertler et al. 2023).

თუმცა ზოგიერთი მონაცემით, არ იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არც სქესის, კოფეინის მიღების, ალკოჰოლის მოხმარების, პროფესიული გარემოს ან განათლების დონის მიხედვით როზაცეის პაციენტებსა და კონტროლს შორის(Abram et al. 2010).

როზაცეის პირველი კლასიფიკაცია გამოქვეყნდა 2002 წელს, როზაცეის ეროვნულმა საზოგადოების ექსპერტთა კომიტეტის მიერ (NRSEC), დაავადება სინდრომების (მორფოლოგიური მახასიათებლების) მიხედვით დაიყო 4 ქვეტიპად: ერითემულ-ტელანგიექტაზიური, პაპულურ-პუსტულოზური, რინოფიმა, ოკულარული. ამ ახალი ხელსაწყოს დანერგვამ მსოფლიო მაშტაბით გაადვილა როზაცეის დიაგნოსტიკების სიტემატიზება ყოველდღიურ სამედიცინო საქმიანობაში და გამოიწვია მკვეთრი გაუმჯობესება როზაცეით დაავადებული პაციენტების სამედიცინო დახმარების სახით. დროთა განმავლობაში შესაძლებელია დაავადება პროგრესირდეს ან რეგრესირდეს და შესაძლებელია ერთი ქვეტიპი მეორეთი.

ამჟამინდელი დიაგნოსტიკური პრაქტიკა დიდწილად მიჰყვება როზაცეის ნაციონალური საზოგადოების (NRS) ექსპერტთა პანელის რეკომენდაციებს, რომელიც შედგება ჩრდილოეთ ამერიკელი და ევროპელი დერმატოლოგებისგან. NRS სისტემის მიხედვით, როზაცეის პირველადი დიაგნოსტიკური კრიტერიუმია ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი: გარდამავალი ერითემა, მუდმივი ერითემა, ანთებითი პაპულები/პუსტულები და ტელანგიექტაზია. წვის ან ჩხვლეტის შეგრძნება, ერითემატოზული ბალოები, სახის სიმშრალე და ქერტლი, შეშუპება, პერიფერიული მდებარეობა და თვალის გამოვლინებები(J. Wilkin et al. 2002). რადგან მრავალი მახასიათებელი ერთდროულად ვლინდება, ასევე შემოთავაზებული იყო ქვეტიპების კლასიფიკაციის სისტემა, რომელიც აჯგუფებს ყველაზე გავრცელებულ გამოვლინებებს, როგორებიცაა ერითემულ-ტელანგიექტაზიური, ანთებითი პაპულოპუსტულოზური. რინოფიმა და ოკულური როზაცეა(Asai et al. 2016). ეს კლასიფიკაცია აისახა როზაცეის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესახებ მომდევნო პუბლიკაციების უმრავლესობაში(Baldwin 2012; Reinholz et al. 2013; Schaller et al. 2017).

ორგანზიზაციის მიერ შექმნილი ბარათი, ფართოდ გამოიყენება დაავადების დიაგნოსტიკასა, კლასიფიკაცია და მკურნალობაში. ბარათი ადვილი შესავსებია

ექიმის მიერ. აღნიშნული კარათი კვლევის დროს სადიაგნოსტიკოდ გამოყენებული იქნა ჩვენს კვლევაში.

					
Rosacea Clinical Scorecard					
Patient Name _____			Date: _____		
Primary Features					
Flushing (transient erythema)	☐ Absent	☐ Mild	☐ Moderate	☐ Severe	
Nontransient erythema	☐ Absent	☐ Mild	☐ Moderate	☐ Severe	
Papules and pustules	☐ Absent	☐ Mild	☐ Moderate	☐ Severe	
Telangiectasia	☐ Absent	☐ Mild	☐ Moderate	☐ Severe	
Secondary Features					
Burning or stinging	☐ Absent	☐ Mild	☐ Moderate	☐ Severe	
Plaques	☐ Absent	☐ Mild	☐ Moderate	☐ Severe	
Dry appearance	☐ Absent	☐ Mild	☐ Moderate	☐ Severe	
Edema	☐ Absent	☐ Mild	☐ Moderate	☐ Severe	
If present:	☐ Acute	☐ Chronic			
If chronic:	☐ Pitting	☐ Nonpitting			
Ocular manifestations	☐ Absent	☐ Mild	☐ Moderate	☐ Severe	
Peripheral location	☐ Absent	☐ Present			
If present:	List location(s) _____				
Phymatous changes	☐ Absent	☐ Mild	☐ Moderate	☐ Severe	
Granulomatous changes	☐ Absent	☐ Mild	☐ Moderate	☐ Severe	
Global Assessment					
Physician ratings by subtype					
Subtype 1: Erythematotelangiectatic	☐ Absent	☐ Mild	☐ Moderate	☐ Severe	
Subtype 2: Papulopustular	☐ Absent	☐ Mild	☐ Moderate	☐ Severe	
Subtype 3: Phymatous	☐ Absent	☐ Mild	☐ Moderate	☐ Severe	
Subtype 4: Ocular	☐ Absent	☐ Mild	☐ Moderate	☐ Severe	
Patient's global assessment	☐ Clear	☐ Mild	☐ Moderate	☐ Severe	
Initial symptoms occurred: _____					
Treatment prescribed: _____					
Comments: _____					
Physician: _____					

National Rosacea Society • 196 James Street • Barrington Illinois 60010 • 1-888-NO-BLUSH • rosacea.org

Based on "Standard grading system for rosacea: Report of the National Rosacea Society Expert Committee on the Classification and Staging of Rosacea," J Am Acad Dermatol 2004;50:907-12.

ლაბორატორიული კვლევები საჭირობას არ წარმოადგენს. დიფერენციალური დიაგნოსტიკა უნდა გატარდეს ვულგარულ აკნეს, ფოტოდერმატიტს, სეზონურ დერმატიტს და კონტაქტურ დერმატიტს შორის. როზაციის კლინიკური მახასიათებლები ნაკლებად წააგავს ატოპიურ დერმატიტს, ფოლიკულიტს, სისტემურ წითელ მგლურასა და მასტოციტოზს (Oge', Muncie, and Phillips-Savoy 2015).

როზაციის მქონე პაციენტები უფრო მეტად განიცდიან შფოთვის, დეპრესიას, უხერხულობას და ცხოვრების ხარისხის დაქვეითებას, ვიდრე ზოგადად

მოსახლეობა(Moustafa, Lewallen, and Feldman 2014). შეიძლება არსებობდეს კავშირი როზაცეისთან დაკავშირებულ სტრესორებს შორის, როგორიცაა სიმპტომები, ცხოვრების წესის ცვლილებები და მკურნალობის სირთულეები და ფსიქოლოგიურ შედეგებს შორის, მათ შორის დაბალი თავდაჯერებულობის ჩათვლით. დაბალი თვითდაჯერებულობა შეიძლება გამოვლინდეს სოციალური აქტივობებისგან იზოლაციით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს დეპრესიის/თვითმკვლელობისა და შფოთვის განვითარებას.

სტრესის ყველაზე გავრცელებული წყაროა სიმპტომები. პაციენტების გარეგნობასთან დაკავშირებული პრობლემების უფრო ეფექტურად გადასაჭრელად, მკურნალობის დანიშვნისას, შეიძლება გათვალისწინებული იყოს ინდივიდუალური პაციენტის აღქმა დაავადების სიმძიმის შესახებ, რადგან ექიმებისა და პაციენტების აღქმა პაციენტის კეთილდღეობაზე შეიძლება განსხვავდებოდეს. ამ შეუსაბამობამ შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი პაციენტისთვის შეუსაბამო მკურნალობა და სიმპტომების შემდგომი გაუარესება(Huynh 2013; Barberis et al. 2023). როზაცეის სიმძიმის შესახებ პაციენტის აღქმის შეფასების ერთ-ერთი გზაა სთხოვით მათ შეაფასონ სიმძიმე 1-დან 10-მდე (ყველაზე მძიმე) მასშტაბით და შემდეგ დაადგინონ ის სიმპტომი, რომელიც მათ ყველაზე მეტად აწუხებს.

როზაცეის სიმპტომების არსებობა მტკიცედ არის დაკავშირებული კეთილდღეობის დარღვევის რამდენიმე ინდიკატორთან, როგორიცაა ღარიბი ინტერპერსონალური ურთიერთობები და სტიგმატიზაცია(Halioua et al. 2017), სექსუალური დისფუნქცია როზაცეის მქონე ქალებში(Hernández-Ramirez et al. 2020; Aktaş Karabay, Karşıyakalı, and Karabay 2020) სოციალური იზოლაცია(Halioua et al. 2017; Moustafa, Lewallen, and Feldman 2014) და სუიციდური აზრები (Lukaviciute et al. 2020), როზაცეის სიმპტომები, ქრონიკული ხასიათის გამო, ხელს უშლის ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს(Baldwin et al. 2019).

ექიმების უმრავლესობა კანის ისეთ ქრონიკულ დაავადებებს, როგორიცაა როზაცეა, მკურნალობს დარღვევების ობიექტური სიმძიმის საფუძველზე, მაგრამ პაციენტის დაბალმა HRQoL და ემოციურმა სტრესმა შეიძლება გამოიწვიოს როზაცეის რეციდივი და გამწვავება(Woo et al. 2016), რაც კიდევ უფრო გაზრდის

ფსიქოსოციალურ ტვირთს(Bewley et al. 2016). ამიტომ, როზაცეის ობიექტურ მახასიათებლებსა და პაციენტის მიერ მოხსენებულ HRQoL-ის შორის პოტენციური შეუსაბამობების ამოცნობა და მკურნალობა აუცილებელია. მაშინაც კი, როდესაც როზაცეა შეფასებულია, როგორც კარგად კონტროლირებადი ობიექტური კრიტერიუმებით, პაციენტებს შეიძლება გაუგრძელდეთ სერიოზული ფსიქოსოციალური დისტრესი მათი მდგომარეობის გამო(Chiu, Tsai, and Huang 2024).

მკურნალობა:

როზაცეას მკურნალობა დამოკიდებულია დიაგნოსტიკის მომენტში არსებულ კლინიკურ მახასიათებლებზე, რაც დროთა განმავლობაში შესაძლოა შეიცვალოს. დაავადებას უამრავი ტრიგერი აქვს და აუცილებელია მკურნალობის პროცესში ტრიგერის მოცილება. იმ შემთხვევაში თუ პაციენტი ვერ პოულობს ზუსტ გამდიზიანებელ ფაქტორს სასურველია გარკვეული პერიოდიტ დააკლვირდეს (Levin and Miller 2011).

აუცილებელია მზის სხივებისგან დაცვა ტანსაცმლით, ქუდით და მზიგან დამცავით (მინიმუმ SPF 30). სასურველია მზისგან დამცავი შეიცავდეს თუთიის ან ტიტანიუმის დიოქსიდს (Odom et al. 2009).

პაციენტი უნდა განემარტოს მისი მნიშვნელოვანი როლის შესახებ დაავადების მკურნალობაში, აუცილებელია სწორად და ზედმიწევნით გამოიყენეს დანიშნული მედიკამენტები. დაბანის დროს უნდა გამოიყენოს დამატენიანებელი ან მგრძნობიარე კანის სერიის დასაბანი საშუალებები, დაუშვებელია კანის ხეხვა შემშრალეების დროს და სამკურნალო საცხის დატანამდე კანი უნდა შემშრეს 30 წთ-ის განმავლობაში (J. K. Wilkin 1999) არ შეიძლება კანის ხეხვა.

ადგილობრივი- პირველი რიგის თერაპია: მეტრონიდაზოლი 0,75% ლოსიონი, 0,75% კრემი, 1%-იანი გელი. აზელაინის მჟავა 15% გელი, ბრიმონიდინი 0,33%. ლაზერული თერაპია ერიტემისა და ტელანგიექტაზიებისათვის (pulsed dye laser, intense pulsed light, Nd:YAG laser). ასევე ადგილობრივი ივერმექტინი 1%-იანი კრემი.

ასევე გამოიყენება ბენზოილ პეროქსიდის გელი, კლინდამიცინი გელი, ერითრომიცინი გელი, ოქსიმეტაზოლინი ცხვირში, ციკლოსპორინი თვალისათვის.

მეორე რიგის თერაპია- სულფური 5% კრემი, ქაფი,ლოსიონი ან სუსპენზიის სახით, დოქსიციკლინი 40 მგ 1 ჯერ დრეში ან 20 მგ 2 ჯერ დრეში ადგილობრივ თერაპიასთან ერთად.

მესამე რიგის თერაპია- თუ დოქსიციკლინი ვერ მუშაობს 40 მგ შესაძლებელია დოზის მომატება 100-200 მგ. ადგილობრივი რეტინოიდები, ტრეტინოინი გელი- 0.01%, 0.025%, კრემი- 0.025%, 0.05%, 0.1% (Oge', Muncie, and Phillips-Savoy 2015).

2.2. ფსიქოლოგიური ასპექტები და საზოგადოების სტიგმატიზაციის გავლენა მის მიმდინარეობაზე.

ადამიანის სხეული დაფარულია კანით, ხილული ორგანოთი, რომლის დაზიანება ან ზოგიერთი ქრონილული დაავადებები მნიშვნელოვნად აისახება პაციენტის ცხოვრების ხარისხზე.

სახის კანი, სხვადასხვა ხარისხით კავშირშია გონებრივ და ემოციურ პროცესებთან. შიშის ან შფოთვის დროს ხდება კანის სისხლძარღვების ძლიერი შეკუმშვა და დანაშაულის გრძნობის ან უხერხულობის შემთხვევაში, სისხლძარღვები უეცრად ფართოვდება, რაც იწვევს ერითემას. ამრიგად, კანი წარმოადგენს დიდ პროექციის ზედაპირს, რომელზეც გავლენას ახდენს როგორც სომატური, ასევე გონებრივი პროცესები. ის არის ყველაზე დიდი გრძნობის ორგანო, რომელიც ადგენს „ფიზიკურ მე“-ს საზღვრებს. ის ხშირად არის ზედმეტი სტიმულაციის საბოლოო ორგანო, რადგან ფსიქიკურ პრობლემებს პირდაპირი გავლენა აქვს კანზე ავტონომიური ნერვული სისტემის მეშვეობით(Alexeyev et al. 2018) და მათ საერთო ექტოდერმულ წარმოშობასთან (ეპიდერმისთან) ერთად რჩება მჭიდრო ფუნქციურ კავშირში ცენტრალურ ნერვულ სისტემასთან და სენსორულ ორგანოებთან.

კანზე არსებული დაავადებები პაციენტს ხელს უშლის სოციალურ ურთიერთობაში, ხელი ეშლება როგორც ნათესავებთან, სკოლაში, სამსახურში, ასევე პირად ურთიერთობებში, ეზღუდება სპორტული აქტივობა. დაავადებაზე არსებული ცრუ სტიგმა, რომ პაპულურ-პუსტულოზური გამონაყარი გადამდებია აყალიბებს სტიგმატიზაციას, მეგობრები ერიდებიან პაციენტის გადაკონტაქტს, თავს იკავებენ ახლო კონტაქტისგან, რაც კიდევ უფრო იწვევს პაციენტებში ფსიქოლოგიურ შფოთვის და დეპრესიას.

ფსიქოლოგიური ფაქტორი გასათვალისწინებელია ისეთი დაავადებების დროსაც როგორიცაა ფსორიაზი, აკნე, ეგზემა და სხვა შედეგად ჩამოყალიბდა ახალი მიმართულება- ფსიქოდერმატოლოგია.

მედიცინის ახალი დარგი- ფსიქოდერმატოლოგია წარმოადგენს ურთიერთკავშირს გონებასა და კანს შორის. მისი ცოდნა სასურველია, როგორც დერმატოლოგებისათვის, ასევე ოჯახის ექიმებისა და ფსიქოთერაპევტებისათვის.

ფსიქოდერმატოლოგიური დარღვევების კლასიფიკაცია:

- ფსიქოსოციალური დარღვევები (როზაცეა, ფსორიაზი, ატოპიური დერმატიტი და სხვა)
- ფსიქოლოგიური დარღვევები დერმატოლოგიური სინდრომებით (ტრიქოტილომანია, კვების დარღვევები, ქავილი და სხვ.)
- დერმატოლოგიური დარღვევები ფსიქიატრიული სიმპტომებით (ალოპეცია არეატა, ვიტილიგო, ქრონიკული ეგზემა, რინოფიმა და სხვ.)
- სხვადასხვა (ფსევდოფსიქოდერმატოლოგიური დაავადებები, თვითმკვლელობა პაციენტებში დერმატოლოგიური დაავადებით და სხვ.)

კლასიკურ მედიკამენტოზურ მკურნალობასთან ერთად ფსიქოდერმატოლოგია გვთავაზობს ჰიპნოზს, ფსიქოთერაპიას, რელაქსაციას, კოგნიტიურ-ბიჰევიორულ თერაპიას, აფირმაციებს, სტრესის მენეჯმენტს და სხვა (Jafferany 2007).

პაციენტის ფსიქოლოგიური მდგომარეობა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან დამატებითი სტრესი აუარესებს დაავადების მიმდინარეობას, ამ პროცესში დიდი

ექიმის როლი, რომ არამარტო უმკურნალოს კანის დაავადებას, არამედ აუხსნას და განუმარტოს დაავადების შესახებ, სწორი მკურნალობის შესახებ, რაც გაუადვილებს პაციენტს გამოჯანმრთელების პროცესს და გარკვეულწილად შეამცირებს დაავადებით გამოწვეულ სტრესს.

2.3. როზაცით დაავადებულ პირთა ცხოვრების ხარისხის შეფასების თავისებურებები.

დაავადება როზაციას აქვს ნეგატიური გავლენა პაციენტის ფსიქიკაზე, ის იწვევს დაბალ თვითშეფასებას, ნაკლებ თავდაჯერებულობას და სოციალიზაციის შეზღუდვას (Baldwin et al. 2019). სხვადასხვა კვლევებით დგინდება, რომ სახეზე არსებული გამონაყარი და ძლიერი ერითემა ნეგატიურ გავლენას ახდენს პაციენტის ცხოვრების ხარისხზე და იწვევს გაღიზიანებას, დაბალ თვითშეფასებას, შფოთვის და ზოგ შემთხვევაში დეპრესიას (Huynh 2013; Gupta et al. 2005).

როზაციეს ნაციონალური საზოგადოების National Rosacea Society- მიერ ჩატარებული კვლევით 400 -ზე მეტ როზაციით დაავადებულ პაციენტებიდან 75% აღნიშნავს მნიშვნელოვნად შემცირებულია მათი თვით შეფასება, 70% თავს უხერხულად გრძნობს, იმედგაცრუებულია 69%, 50%- თვლის რომ დაავადების გამო ბედნიერებას ვერ გრძნობს.

პაციენტები მიიჩნევენ, რომ დაავადება ხდის მათ არამიმზიდველს, ღელავენ, რადგან სახეზე ჰიპერემიის გამო საზოგადოებამ არ მიიჩნიოს ალკოჰოლ დამოკიდებულად (Zeichner et al. 2018).

პაციენტის ცხოვრების ხარისხზე კანის დაავადების გავლენის განსაზღვრის მიზნით 1994 წელს შეიქმა უნივერსალური დერმატოლოგიური ცხოვრების ხარისხის განმსაზღვრელი ინდექსი -The Dermatology Life Quality Index (DLQI). იგი შედგება 10 კითხვისაგან. კითხვარი ვალიდურია კანის 40-მდე დაავადებისათვის, ითარგმა 90 ენაზე და გამოიყენება 80 ქვეყანაში.(FINLAY and KHAN 1994) კითხვარი იყოფა 6 ძირითად ქვეკატეგორიად:

- სიმპტომები და ჩივილები (კანის მგრძნობელობა, ტკივილი, ქავილი) (1,2);

- ყოველდღიური საქმიანობა (3,4);
- თავისუფალი დრო (5,6);
- სამუშაო და სკოლა (7);
- პირადი ურთიერთობები (8,9);
- მკურნალობა (არეულობა სახლში და დროის დანახარჯი) (10).

დერმატოლოგიური ცხოვრების ხარისხის ინდექსი ფასდება 4 ბალიან სკალაზე (0=არა აქვს გავლენა პაციენტის ცხოვრების ხარისხზე, 4=აქვს ძალიან დიდი გავლენა პაციენტის ცხოვრების ხარისხზე) (Hongbo et al. 2005).

დაავადებასა და სტრესს შორის კავშირი პირველად აღმოაჩინა კანადელმა მეცნიერმა ჰანს სელიემ. მან პირველად შეიტანა ტერმინი „სტრესი“ მედიცინაში. მისი განმატრებით სტრესი არის ორგანიზმის რეაქცია გარეგან ან შინაგან გამღიზიანებელზე(სტრესორზე), რომელიც ინდივიდის შესაძლებლობებს და რესურსებს აღემატება (S. Y. Tan and Yip 2018). სტრესი შესაძლოა იყოს როგორც ნეგატიური ასევე პოზიტიური.

ემოციური სტრესის განსაზღვრა შესაძლებელია რთული იყოს. ეს არის უხილავი განუზომელი ძალა, რომელიც შეიძლება არსებობდეს ყოველდღიური ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტში, მაშინაც კი, თუ ჩვენ ამას ვერ ვაცნობიერებთ. სტრესულ მდგომარეობაში ცხოვრებამ შესაძლო გავლენა მოახდინოს როგორც ფსიქიკურ, ასევე ფიზიკურ ჯანმრთელობაზე- ის იწვევს კუნთის დაძაბულობას, აჩქარებს გულის და ფილტვის მუშაობას, არღვევს საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობას, გამოიყოფა ჰორმონები, რომლებიც გავლენას ახდენენ ნერვულ და რეპროდუქციულ სისტემებზე.

პროფესორი სელიე განიხილავს სტრესის შემდეგ ფორმებს:

ეუსტრესი- სტრესი რომელიც საჭიროა ცხოვრების შენარჩუნებისათვის, გარემოსთან ადაპტაციისთვის. „პოზიტიური სტრესი“

დისტრესი- როდესაც სტრესი იმდენად ძლიერია რომ ორგანიზმი უარყოფითად პასუხობს მას იქნება ეს დაავადება თუ სიკვდილი. „ნეგატიური სტრესი“ (The Editors of Encyclopaedia 2024).

სტრესი შეიძლება იყოს მწვავე, ქრონიკული ან ტრავმული. სელიემ ასევე შეიმუშავა ზოგადი ადაპტაციის სინდრომი The general adaptation syndrome (GAS), აღწერს რეაქციას, რასაც ორგანიზმი განიცდის სტრესის ზემოქმედების შემდეგ.

არსებობს სამი ეტაპი:

1. განგაშის სტადია - არის ფიზიოლოგიური რეაქცია, რომელიც ხდება ტვინის მიერ აღქმული საფრთხის საპასუხოდ, სამწუხაროდ ეს შესაძლოა იყოს მაგალითად შეხვედრაზე დაგვიანება. სტრესის დროს ორგანიზმის პასუხია: ტაქიკარდია, არტერიული ჰიპერტენზია, ჰიპერგლიკემია, სუნთქვის აჩქარება, კუნთების ჰიპერტონუსი, ოფლიანობა და გუგების გაფართოება.
2. წინააღმდეგობის- იმ შემთხვევაში, თუ აღქმული სტრესი გაგრძელდება, სხეული რჩება „გააქტიურებული“ მაღალ მეტაბოლურ დონეზე მუდმივი სტრესის კომპენსაციის მიზნით. ასეთ მდგომარეობას ორგანიზმი დიდხანს ვერ ინარჩუნებს, მისი რესურსები იწურება.
3. ამოწურვა/გამოფიტვა- ქრონიკული სტრესი იწვევს ორგანიზმის რესურსების ამოწურვას, შედეგად ითრგუნება იმუნური სისტემა და ორგანიზმი კარგავს ფიზიოლოგიურად ფუნქციონირების შესაძლებლობას. ამან შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა დაავადება, ისეთი როგორიცაა: დიაბეტი, დეპრესია, შფოთვა, საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, რეპროდუქციული სისტემის დარღვევები და სხვ.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით აუცილებელია სტრესის დამლევა, რაშიც დიდ როლს ასრულებს თერაპევტის ჩართვა და სოციალური მხარდაჭერა.

2.4. პრობლემის დამლევის სტრატეგიის თანამედროვე მეთოდები.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ინტერესი სტრესის დამლევისთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. პირველი ნაშრომი 1984 წელს ლაზარუსსა და ფოლკმანს (Lazarus R., S., Folkman S., 1984) ეკუთვნით, სადაც აღნიშნულია, რომ სტრესი შედგებაშეფასების სამი სისტემისგან. პირველი შეფასება არის საკუთარი თავისთვის საფრთხის აღქმის პროცესი; მეორე შეფასება არის პროცესი საფრთხეზე პოტენციური პასუხის გაცემის; მესამე- დამლევა კი არის ამ პასუხის შესრულების პროცესი(რეაქციის განხორციელება). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ადამიანის

კოგნიტიური და ქცევითი ძალისხმევის ერთობლიობა, რომელიც მიმართულია ინდივიდის მიერ სტრესის ზეგავლენის შესამცირებლად.

სტრესის დაძლევის მრავალი კლასიფიკაცია არსებობს, დაძლევის სტრატეგიები შემდეგ ძირითად პრინციპს ემყარება:

- პრობლემაზე მიმართული დაძლევის სტრატეგია

გულისხმობს სტრესის წყაროს აღმოფხვრისკენ ცვლილებებს/ზრძოლას. პროფლემებზე ორიენტირებული დაძლევა არის რაციონალური მიდგომა, რომელიც ცდილობს შეცვალოს სიტუაცია გარემოს ცვლილების ხარჯზე, ან ის თუ როგორ ურთიერთობს ადამიანი გარემოსთან(ლაზარუსი და ფოლკმანი 1987წ.). აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ამგვარი დაძლევის სტრატეგია მიზნად ისახავს სიტუაციის მოთხოვნების შემცირებას ან მასთან გამკლავების რესურსების გაფართოებას. ამყველაფრის გათვალისწინებით ცხადია რომ ადამიანი იყენებს ამ სტატეგიას, იმედით, რომ მოთხოვნა ცვალებადია.

ფსიქოლოგების აზრით პრობლემაზე ფოკუსირებული დაძლევა ხშირად აძლიერებს კონტროლის გრძნობას და ამცირებს სტრესს და მის უარყოფით შედეგებს, იმ ვარაუდით, რომ სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს(Muharremi 2015) .

პრობლემაზე ორიენტირებული დაძლევის მაგალითებია: აქტიური დაძლევა, დაგეგმვა, თავშეკავება და suppression of competing activities კონკურენტი აქტივობების ჩახშობა (Algorani and Gupta 2024).

- ემოციაზე მიმართული დაძლევის სტრატეგია

ემოციებზე ორიენტირებული დაძლევა გამოიყენება ემოციური დისტრესის ყველა ფორმის სამართავად, მათ შორის, შფოთვის, იმედგაცრუების, ბრაზის განცდა. ემოციური დისტრესი ჩვეულებრივ ართულებს ქრონიკული ტკივილის პრობლემას. (ჰანსონი 1997)(Hanson and Canada. Solicitor General Canada. 1997) მიხედვით ემოციებზე ორიენტირებული დაძლევის სტრატეგიის მქონე ინდივიდი ცდილობს თავი უკეთ იგრძნოს პრობლემურ სიტუაციაში თავად პრობლემის ან მისი აღქმის შეცვლის გარეშე. პრობლემაზე ფოკუსირებული დაძლევის შემთხვევაში კი პირიქით ხდება პაციენტი როგორც წესი ცდილობს შეცვალოს სიტუაცია ან სიტუაციის აღქმა, რათა ნაკლებად ან აღარ იყოს სტრესული (Muharremi 2015).

ემოციებზე ორიენტირებული დამღევის სტრატეგია, მიზნად ისახავს პრობლემასთან დაკავშირებული უარყოფითი ემოციების შემცირებას: ამის მაგალითია პოზიტიური გადახედვა, მიღება, რელიგიის მიმართვა და იუმორი (Algorani and Gupta 2024).

- სოციალური მხარდაჭერა - ინდივიდი ამცირებს სტრესს საზოგადოებისგან ემოციური ან ინსტრუმენტული მხარდაჭერის ძიების გზით.
- დამღევის მექანიზმის გააზრება არის ქვაკუთხედი პაციენტისადმი საუკეთესო მიდგომის არცევისას, რათა ეფექტური ურთიერთობა დამყარდეს პაციენტსა და ექიმს შორის.

დამღევის მრავალი კლასიფიკაციიდან ჩვენს კვლევში გამოყენებულია ქარვერის კლასიფიკაცია 15 სტრატეგიით:

• აქტიური დამღევა;
• დაგეგმვა;
• სხვა აქტივობების დათრგუნვა;
• შეკავება;
• ინსტრუმენტური სოციალური მხარდაჭერა;
• ემოციური სოციალური მხარდაჭერა;
• ემოციების გამოხატვა და ემოციაზე კონცენტრირება;
• ბიჰევიორალური/ქცევითი ჩაურთველობა;
• მენტალური/ფსიქიკური ჩაურთველობა;
• პოზიტიური რეინტერპრეტაცია და ზრდა;
• უარყოფა;
• მიმღებლობა;
• რელიგიასთან მიბრუნება;
• ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გამოყენება;
• იუმორი.

აქტიური დამლევა ესაა პროცესი, როდესაც პაციენტი დგამს აქტიურად მოქმედებს სტრესის მოცილებისა და გვერდის ავლის მიზნით, ან მისი ეფექტის გასაუმჯობესებლად.

1. დაგეგმვა - პირდაპირი ქმედება, დახმარების ძეგნა, სხვა აქტივობების მიგნება და ზოგჯერ აიძულო საკუთარ თავს დაცდა მანამდე სანამ არ დსიაწყებს მოქმედებას. ესარის ფიქრი იმის შესახებ, თუ როგორ დამლიო სტრესი. ძეგნა საუკეთესო გზების პრობლემის დასაძლევადა. დაგეგმვა აქტიური დამლევისგან განსხვაებით, რომელიც პირველადად ხდება მოდის მეორადი შეფასების შემდეგ.
2. სხვა აქტივობების დათრგუნვა - სხვა პროექტების გვერძე გადადება, დისტანცირება სხვა მოვლენებთან, ცდილობს მოახდინოს ყურადღების კონცენტრირება პრობლემაზე და ცდილობს სხვა არაფერზე იფიქროს, ბლოკავს ინფორმაციის წყაროსაც კი.
3. შეკავება - მიუხედავად იმისა რომ, ტავშეკავება ხშრად შეუმჩნეველი რჩება, როგორც დამლევის სტრატეგია, ის ზოგჯერ აუცილებელია და ფუნქციური რეაქციაა სტრესზე. შეკავება არის დალოდება ადექვატური მოქმედების შესაძლებლობამდე. არ მოქმედებს, თავშეკავებულია მანამ ეფექტურ გზას არ იპოვის.
4. ინსტრუმენტალური სოციალური მხარდაჭერა - შესაძლებელია ჩაითვალოს რელევანტურად პრობლემაზე ორიენტირებული დამლევის, როგორც სოციალური მხარდაჭერის ძიება. ამ დროს პიროვნება ეძებს სოციალურ მხარდაჭერას რჩევის, დახმარების ან ინფორმაციის მოძიების მიზნით. იგივე დამლევის მეთოდი შესაძლოა იყოს ემოციური დამლევის ასპექტი. სოციალური მხარდაჭერის ძეგნით პიროვნება იღებს ემოციურ/მორალურ დახმარებას, თანაგრძნობას ან გაგებას.
5. ემოციური სოციალური მხარდაჭერა- პიროვნება რომელიც თავს დაუცველად გრძნობს სტრესული მდგომარეობის გამო
6. ემოციების გამოხატვა და ემოციაზე კონცენტრირება;
7. ბიჰევიორალური/ქცევეითი ჩაურთველობა;

8. მენტალური/ფსიქიკური ჩაურთველობა;
9. პოზიტიური რეინტერპრეტაცია და ზრდა;
10. უარყოფა- ერთის მხრივ შეიძლება სასიკეთო იყოს რადგან უარყოფით პიროვნება ამცირებს სტრესს და ამით ხელს უწყობს დაძლევას, ხოლო მეორე მხრივ შეიძლება მსგავსი ქმედება დამატებით პრობლემას ქმნიდეს, რადგან სტრესორი იგნორირებულია. პრობლემის უარყოფით რეალურად პრობლემა ვერ გვარდება (Matthews et al. 1983; Levine et al. 1987). მესამე შეხედულება არის ის, რომ უარყოფა სასარგებლოა სტრესის გარდამავალ ეტაპზე, მაგრამ ხელს უშლის შემდგომ დაძლევას (Levine et al. 1987).
11. მიმღებლობა- უარყოფის საპირისპირო არის მიღება, იმით რომ პიროვნება ირებს სტრესულ სიტუაციას, ამით ცდილობს სტრესის გამკლავებას.
12. რელიგიასთან მიბრუნება- მსგავსი დაძლევის მეთოდი ბევრი პიროვნებისთვისაა მისაღები. სტრესული სიტუაციის დროს პიროვნება ბრუნდება რელიგიაში. ეს სტრატეგია ემოციური მხარდაჭერის წყაროა, ხელს უწყობს პოზიტიურ რეინტერგრაციას და ზრდას.
13. ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გამოყენება;
14. იუმორი.

3. კვლევის მასალა და მეთოდები

3.1 საკვლევი ჯგუფის დახასიათება

ჩვენს მიერ შესწავლილ იყო შპს „კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო/კვლევით ეროვნულ ცენტრში“ ამბულატორიულ მიღებაზე მყოფი პაციენტები, რომლებიც როზაცეის დიაგნოზით მკურნალობდნენ 2016-2020 წლებში.

